HISTORICAL PREREQUISITES OF THE GEORGIAN IMMIGRANT PRESS

ქართული ემიგრანტული პრესის ისტორიული წანამძღვრები

Tamar Tagvadze
Caucasus Inernational University,
Doctoral student of the Mass Communication
Doctoral Educational Program,
0141, Chargali str. 73, Tbilisi, Georgia,
+995577415116, Tamar.tagvadze@ciu.edu.ge, Tako-200873@mail.ru
https://orcid.org/0009-0008-1538-201X

Abstract. In Georgia, which had become a Russian colony, the national media, along with the national movement, performed the function of awakening national self-consciousness. In the 70s of the 19th century, censorship particularly intensified against the Georgian independent socio-political press. In 1873, Niko Nikoladze published the 10th issue of the illegal newspaper "Drosha" in Paris in hectographic form. The analysis of issues of national and foreign policy and socialism began precisely on the pages of the illegal press. The paper discusses the political-historical discourse that preceded the publication of the first Georgian printed emigrational newspaper - "Georgia", which was published in Paris in 1903-1905. In 1901, the idea of the necessity of creating a political party, the basis of which was the autonomy of Georgia, was already expressed. There was a need to publish an illegal free organ abroad for open discussion of national-political issues and the future party. The newspaper "Georgia" - the organ of the Socialist-Federalist Party was published before the founding of the party and prepared the ground for its foundation. The purpose of the research is to determine the role of the Georgian immigrant press in the process of forming public opinion based on the influence of the newspaper „Georgia", which has not be fully studied until now. The study explores first period of the Georgian immigrant press, when the immigrant newspaper plays a special role in the life of Georgian political emigration. With the publication of the „Georgia" newspaper, a new stage began in Georgian journalism, which has gone through a long path of development. An illegal, free newspaper published in France openly put forward a political demand for the restoration of the state of Georgia in the form of national-terrtoral autonomy.

Keywords: The Georgian immigrant press, Niko Nikoladze, the newspaper "Drosha", the newspaper "Sakartvelo", Archil Jorjadze.

თამარ თაგვაძე
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი,
მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო
საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტი,
თბილისი, 0141, ჩარგლის ქ. 73, საქართველო,
+995577415116, Tamar.tagvadze@ciu.edu.ge, Tako-200873@mail.ru
https://orcid.org/0009-0008-1538-201X

აბსტრაქტი. რუსეთის კოლონიად ქცეულ საქართველოში ეროვნული თვითშეგნების გაღვიძების ფუნქციას ეროვნულ მოძრაობასთან ერთად ეროვნული მედიაც ასრულებდა. XIX საუკუნის 70-იან წლებში ქართული დამოუკიდებელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური პრესის მიმართ განსაკუთრებით, გააქტიურდა ცენზურა. 1873 წელს პარიზში ნიკო ნიკოლაძემ ჰექტოგრაფიული წესით არალეგალური გაზეთის -,,დროშის“ 10 ნომერი გამოსცა. ეროვნული და საგარეო პოლიტიკისა თუ სოციალიზმის საკითხების გაანალიზება სწორედ, არალეგალური პრესის ფურცლებზე დაიწყო. ნაშრომში განხილულია პოლიტიკურ-ისტორიული დისკურსი, რაც წინ უძღოდა პირველი ქართული ბეჭდური ემიგრანტული გაზეთის - ,,საქართველო“ - გამოცემას, რომელიც პარიზში 1903-1905 წლებში გამოდიოდა. 1901 წელს უკვე გამოკვეთილი იყო აზრი პოლიტიკური პარტიის შექმნის აუცილებლობაზე, რომლის საფუძველიც საქართველოს ავტონომია უნდა ყოფილიყო. ეროვნულ-პოლიტიკურ საკითხებსა და მომავალ პარტიაზე ღიად მსჯელობისთვის საზღვარგარეთ არალეგალური თავისუფალი ორგანოს გამოცემის საჭიროება გაჩნდა. გაზეთი ,,საქართველო“ - სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის ორგანო პარტიის დაარსებამდე გამოიცა და მისი დაფუძნებისთვის მოამზადა ნიადაგი. ნაშრომის მიზანია გაზეთ ,,საქართველოს“ მაგალითზე ქართული ემიგრანტული პრესის როლის განსაზღვრა საზოგადოებრივი აზრის ფორმირების პროცესზე. დღემდე სრული რაკურსით გაზეთი ,,საქართველო“ არაა შესწავლილი. კვლევის საგანია ქართული ემიგრანტული პრესის პირველი პერიოდი, როცა ემიგრანტული გაზეთი განსაკუთრებულ როლს ასრულებს ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ცხოვრებაში. გაზეთ ,,საქართველოს“ გამოცემით ქართული ჟურნალისტიკის იტორიაში, რომელმაც განვითარების დიდი გზა განვლო, ახალი ეტაპი დაიწყო. საფრანგეთში გამოცემულმა არალეგალურმა თავისუფალმა გაზეთმა საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის ფორმით სახელმწიფოს აღდგენის პოლიტიკური მოთხოვნა ღიად წამოაყენა.

საკვანძო სიტყვები: ქართული ემიგრანტული პრესა, ნიკო ნიკოლაძე, გაზეთი „დროშა“, გაზეთი „საქართველო“, არჩილ ჯორჯაძე.

შესავალი. ქართული ჟურნალისტიკის ისტორიის სისტემური კვლევა საუკუნეზე მეტს ითვლის. მრავალი მონოგრაფიული გამოკვლევა და სამეცნიერო სტატია ეძღვნება XIX საუკუნის ქართული პრესის ისტორიას, ქართული ჟურნალისტიკის როლს საზოგადოებრივი აზრის ფორმირების პროცესში, მის ისტორიულ ფუნქციას.

ბოლო პერიოდში იზრდება სამეცნიერო ინტერესი პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის ბეჭდური მედიის მიმართ. ქართული ემიგრანტული პრესის პირველი პერიოდის შესახებ კი ფუნდამენტური კვლევა არ გვაქვს. პირველი ქართული ბეჭდური გაზეთი - ,,საქართველოს გაზეთი“ 1819 წლის 8 მარტს გამოვიდა და საფუძველი ქართულ ჟურნალისტიკასთან ერთად კავკასიურ პრესასაც ჩაუყარა. პირველი ქართული გაზეთის დაარსების ინიციატორი რუსული ხელისუფლება იყო და პირველი ქართული პერიოდული გამოცემა მისი საჭიროებისთვის გამოდიოდა. XIX საუკუნის ქართულმა

პრესამ განვითარების რამდენიმე ეტაპი გაიარა და ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. XX საუკუნის დასაწყისში ქართული ლეგალური პრესის ალტერნატივა - პირველი ბეჭდური ქართული ემიგრანტული გაზეთი ,,საქართველო“ პარიზში გამოვიდა. თუ მანამდე ევროპაში ქართველი ემიგრანტების მოღვაწეობა მხოლოდ ეპიზოდური იყო, ამ დროიდან ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ისტორია დაიწყო. ასევე დაიწყო ქართული ბეჭდური ემიგრანტული პრესის ისტორიაც, რომლის საშუალებითაც, ეროვნულ - პოლიტიკურ საკითხებზე მსჯელობა ღიად გახდა შესაძლებელი. ამ პროცესის ისტორიული წანამძღვრების გაანალიზება გაზეთ ,,საქართველოს“ სრულფასოვნად შესწავლისა და ქართული ემიგრანტული პრესის ძირითადი ტენდენციების განსაზღვრის, მისი საწყისი პერიოდის კომპლექსური კვლევის საფუძველია.

მეთოდები. კვლევის მიზნიდან გამომდინარე, მოხდა გაზეთ ,,დროშაში“ (1873) გამოქვეყნებული მასალების, გაზეთ ,,ცნობის ფურცელში“ არჩილ ჯორჯაძის წერილებისა (1901) და რელევანტური ლიტერატურის შესწავლა. კვლევის მეთოდები შეირჩა კვლევის მიზნებიდან გამომდინარე - ანალიზი და შეფასება. კონტენტანალიზის მეთოდით შესაძლებელი გახდა ტენდენციების გამოვლენა, მიზეზ-შედეგობრიობის ახსნა, თემატური ანალიზით კი -აღწერა, გამოკვლევა, დასაბუთება. შემთხვევის ანალიზით (CASE STUDY) დეტალურადაა შევისწავლილი გაზეთ ,,დროშის” 3 ნომერი (1.IV.1873 - 3.IV.1873). ისტორიული მიდგომის გამოყენებით, თემასთან დაკავშირებულ საკითხებზე შეგროვდა ინფორმაცია და ამის საფუძველზე აეგო თხრობა. შედარებისა და სინთეზის მეთოდებით კვლევასთან დაკავშირებული მასალების შედარება, გაერთიანება და დასკვნების გამოტანა მოხდა, ხოლო კონტენტანალიზის მეთოდით - კვლევაში ასახული მედიური დისკურსის თვისებრივი ანალიზი.

შედეგები და მსჯელობა. XIX საუკუნის საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფერო ეროვნულ და სახელმწიფოებრივ ინტერესთა შორის შეურიგებელი წინააღმდეგობითაა აღბეჭდილი. ეს გამოწვეული იყო მრავალსაუკუნოვანი ტრადიციების მქონე ქვეყნის რუსეთის იმპერიის გუბერნიად ქცევით. მის ,,კავკასიური პოლიტიკის“ მიზნებს, რუსული სახელმწიფო პოლიტიკის ,,ასიმილაციურ ბუნებასა“ და მმართველობის კურსს ეროვნული მოძრაობა დაუპირისპირდა და ამ მოძრაობაში ქართულმა ჟურნალისტიკამ ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძებისა და შემდეგ აღორძინების ფუნქცია იტვირთა. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და განვითარების პროცესის ეროვნულ ცნობიერებად ჩამოყალიბება, უმკაცრესი ცენზურის მიუხედავად, ქართული პრესის საშუალებით მოხდა.

არჩილ ჯორჯაძე საქართველოში პერიოდული პრესის ისტორიას ჟურნალ ,,ცისკრის“ გამოსვლის აღწერით იწყებს. მიაჩნია, რომ მანამდე საქართველოში პერიოდული პრესა არ არსებობდა. მართალია, სხვადასხვა დროს იბეჭდებოდა გაზეთები - ,,საქართველოს გაზეთი“, (1819 წ.), ,,ქართული გაზეთი“ (1820 წ.), ,,ტფილისის უწყებანი“ (1832 წ.), ,,კავკასიის მხარეთა უწყებანი“ (1845 წ.), მაგრამ მათი მხოლოდ რამდენიმე ნომერი გამოდიოდა და გაზეთი იხურებოდა. პრესის მოთხოვნილება ნაკლებად იყო იმ დროინდელ საქართველოში, რისი მიზეზიც არჩილ ჯორჯაძის აზრით, ის იყო, რომ XIX საუკუნის პირველ ნახევარში ქართულ საზოგადოებას ეროვნულად გარკვეული ფიზიონომია აღარ ჰქონდა და პოლიტიკურად დასნეულებული ეროვნული სხეული გონებრიბვად და ზნეობრივადაც დასნეულებული იყო (ჯორჯაძე, 1989); 1852 წლის 1 იანვარს გამოვიდა ჟურნალი ,,ცისკარი“ გიორგი ერისთავის რედაქტორობით. ამით ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ახალი ეტაპი დაიწყო.

ქართული ჟურნალისტიკის ისტორიის მკვლევრები XIX ქართული ჟურნალისტიკის პირველ ეტაპად 1819-1845 წლების ოფიციალურ პრესას მიიჩნევენ, რომლის მიზანი რუსეთის სახელმწიფოს უპირატესობის წარმოჩენაა. მეორე ეტაპი კი, უკვე კერძო ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთების გამოცემისა და ევროპული ტიპის პრესის ჩამოყალიბების პერიოდია. სწორედ, მეორე პერიოდს მიეკუთვნება დამოუკიდებელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი ,,კრებული", რომელიც 1871-1873 წლებში თვეში ერთხელ გამოდიოდა. ოფიციალურად ,,კრებულს" ხელს გიორგი წერეთელი აწერდა, მაგრამ მისი ფაქტობრივი რედაქტორი ნიკო ნიკოლაძე იყო. 1869 წლის დეკემბერში საზღვარგარეთიდან დაბრუნებულ ,,არაკეთილსაიმედოდ" მიჩნეულ ნიკო ნიკოლაძეს საზღვარზე ჩხრეკისას ლიტერატურა და საბეჭდი დაზგა ჩამოართვეს და ამის შემდეგ, ბუნებრივია, იგი ჟურნალის გამოცემის ნებართვას ვერ მიიღებდა (ავტორთა ჯგუფი, 2013); დემოკრატიული მიმართულების ,,კრებულმა" იმ დროისთვის ყველა მნიშვნელოვან პრობლემაზე იმსჯელა. პრაქტიციზმით გამორჩეულ მის პუბლიცისტიკაში მთავარი ადგილი სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებს ეთმობოდა. ცენზურა ხშირად აფერხებდა ჟურნალის დროულად გამოსვლას. 1874 წლის იანვარში გამოვიდა ,,კრებულის" 1873 წლის X ნომერი და ამით შეწყდა მისი გამოცემა. ქართული ჟურნალისტიკის ისტორიის მკვლევარი თამაზ ჯოლოგუა ამის მთავარ მიზეზად ნიკო ნიკოლაძის საქართველოდან წასვლას ასახელებს:- ,,ჟურნალის ფაქტობრივი რედაქტორი თბილისში ყოფნისას ლიტერატურული მასალის ნაკლებობის, მწირი ფინანსური რესურსებისა და მკაცრი ცენზურის პირობებში, მაინც ახერხებდა ,,კრებულის" გამოცემას" (ჯოლოგუა, 2013, გვ. 345);

1873 წელს პარიზში ნიკო ნიკოლაძემ ჰექტოგრაფიული წესით გამოსცა არალეგალური სოციალისტური მიმართულების ყოველდღიური გაზეთი ,,დროშა". აქედან იწყება ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია. 1927 წელს პროფესორ სიმონ ხუნდაძისადმი გაგზავნილ წერილში ნიკო ნიკოლაძე იხსენებს, რომ 1873 წლის გაზაფხულზე ის პარიზში იმყოფებოდა დათა მიქელაძესთან, რომელიც ქართულ მწერლობაში ,,მეველის" სახელით იყო ცნობილი და თბილისის მომავალ თავთან - პავლე იზმაილოვთან ერთად. მაშინ ქართული შრიფტის გამარტივებასა და ქართული სტამბის მოწყობაზე ვმუშაობდი და ამ დროს გავეცანი ახალ აღმოჩენას, რომელიც ლიტოგრაფიების მოწყობას და ხმარებას აადვილებდაო (ხუნდაძე, 1927); შემდეგ გადაუწყვეტიათ დროშის 10 ნომრის დაბეჭდვა 100-100 ტირაჟით და ციურიხში, ჟენევაში, ვენასა და ევროპის სხვა ქალაქებში მყოფი ქართველებისა და კავკასიელებისთვის უფასოდ გაგზავნა. 1926 წლის დეკემბერში ნიკო ნიკოლაძეს ლონდონში ბრიტანეთის მუზეუმში შემთხვევით, აღმოუჩენია ,,დროშის" სამი ნომერი. მუზეუმის კატალოგში ის მითითებულია, როგორც -,,ქართული რევოლუციური გაზეთი". თუმცა, რედაქტორად შეცდომით, მოხსენიებულია სერგეი მესხი, გამოცემის ადგილად კი - ჟენევა (ხუნდაძე, 1927); ,,დროშის" ამ სამი ნომრის ფოტოასლები საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ნიკო ნიკოლაძის პირად საარქივო ფონდშია დაცული. გაზეთის პირველი ნომერი 1873 წლის 1 აპრილს გამოვიდა და 11 აპრილს - მე -10 ნომრის შემდეგ გამოცემა დასრულდა. ,,დროშის" 10 ნომრიდან მხოლოდ პირველი სამია ხელმისაწვდომი, გაზეთის შინაარსზე მსჯელობაც მათი მასალების მიხედვითთაა შესაძლებელი. წერილები ხელმოუწერელია, მაგრამ მათი ავტორები სიმონ ხუნდაძემ ნიკო ნიკოლაძეზე დაყრდნობით დაადგინა და მასალების თემატური კლასიფიკაცია მოახდინა. ,,დროშა" ეხებოდა საგარეო და ეროვნული პოლიტიკის, სოციალურ და ისტორიულ საკითხებს (ხუნდაძე, 1927);

,,გაქრა უწინდელი დამთრგუნველი ძალა, უკანასკნელ სასიკვდილო კლაკნაში იკარგება და იხარჯება ძველი თაობის და მიმართულების უკანასკნელი წამები..." - ,,დროშის" პირველი ნომრის წინასიტყვაობაში წერს ნიკო ნიკოლაძე. ახალგაზრდობას

გვინდა მაგალითი ვაჩვენოთო, რომ სამოქმედო მიმართულება და გამოცდილება ჰქონდეთო (დროშა, 1873, 1.IV);

,,აი, ჩვენი საზოგადოებრივი იდეალი:

თავისუფალი ფედერაცია ყველა კავკასიელი ხალხებისა, გაწყობილთა ყველა მოქალაქეების ეკონომიკურ თანასწორობისამებრ.“- ასეთ პოლიტიკურ და სოციალურ თვალსაზრისს აყალიბებდა პავლე იზმაილოვი ,,დროშის“ მე-2 ნომერში, წერილში - ,, ერობის თვით მართველობა როგორ გამოგვადგება“. მას მიაჩნია, რომ კავკასიაში ერობების პოლიტიკური ფუნქციებით აღჭურვით კავკასიელი ხალხები თანხმობას მიაღწევენ და რუსეთის იმპერიისგან განთავისუფლდებიან (დროშა, 1873, 2.IV); განსხვავებული პოზიცია აქვს დავით მიქელაძეს. ,,დროშის“ მე-3 ნომერში წერილში -,,რას უნდა ველოდეთ?“- წერს:- ,,მე მგონია, მშვიდობიანი პროგრესი, ერობის დაარსების მოწოდება, სამოქალაქობრივი წყობილება მომავალში, ნაფიცი კაცები სამჯავროში, ვერც ერთი ესენი ვერ გვიხსნის, და ჩვენ მოგველის ადრე თუ გვიან გაქრობა, როგორც, ნაციონალობას...“ მას მიაჩნია, რომ მშვიდობიანი გზით საქართველო რუსეთს თავს ვერასოდეს დააღწევს. წერილების ანალიზით ირკვევა, რომ რომ ,,დროშის“ დამაარსებლებს ერთსა და იმავე საკითხთან განსხვავებული თვალსაზრისი აქვთ და გაზეთი თავისუფალი გამოხატვის საშუალებას აძლევთ.

რუსული უტოპიური სოციალიზმისთვის დასაყრდენი გლეხობა იყო, ევროპულისთვის - მუშათა კლასი.

,,დროშის“- პირველი ქართული არალეგალური სოციალისტური მიმართულების გაზეთის სოციალისტური პრინციპები ევროპულია. ,,აი, ეს მშრომელი ხალხი თვითონ იწყებს ახლა თავისი რაზმების შედგენას და თავის ძალას შესაფერ ორგანიზაციას აძლევს ,,მუშების კავშირის“ შედგენით...“ (დროშა,1873, 3.IV)

,,დროშა“, ქართული სოციალური გაზეთი, გამოიცემა პარიჟში, ათი დღის განმავლობაში, ყოველ დღე, საღამოობით.“- წერდა ნიკო ნიკოლაძე სარედაქციო წერილში, აქვე აღნიშნავდა, რომ გაზეთს ხელმომწერები არ ეყოლებოდა და 10 ნომრის გამოსვლის შემდეგ მისი ბეჭდვა შეწყდებოდა (დროშა, 1873, 1.IV);

გაზეთზე გამოხატულ დროშაზე ილიას სიტყვები ეწერა - ,,აწმყო თუ არა გვწყალობს, მომავალი ჩვენია“. გაზეთი 4 გვერდიანი იყო. ,,გაგება არ მაქვს, ვის ჩარჩენია და შეუწირავს ბრიტიშ მუზეუმისთვის ის სამი პირველი ცალი ,,დროშისა“, რომლის ასლი თქვენ ხელში გაქვთ“,- წერდა ნიკო ნიკოლაძე სიმონ ხუნდაძეს (ხუნდაძე, 1927, გვ.312); სწორედ, ამ ნომრების მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ გაზეთის მიმართულებასა და მნიშვნელობაზე, ასევე, იმ ტენდენციებზე, რაც ქართული ჟურნალისტიკის ისტორიაში გაზეთ ,,დროშის“ - პირველი არალეგალური სოციალისტური მიმართულების ჰექტოგრაფიული გაზეთის გამოცემით დაიწყო. ის ლეგალური პრესის ალტერნატივად იქცა და იმ თემებზე მსჯელობდა, რაც ლეგალურ პრესაში ცენზურის მკაცრი რეაგირების გარეშე არ დარჩებოდა. ეროვნული და საგარეო პოლიტიკის, მუშათა მოძრაობის, სოციალიზმის საკითხებზე მჯელობით იწყება ქართული ემიგრანტული პრესის ისტორია. ამ პერიოდშიც და შემდგომაც, ქართულ ლეგალურ პრესას ცენზურასთან მუდმივ დაპირისპირებაში უხდებოდა არსებობა. 1885 წლის 14 სექტემბერს რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით, გაზეთი ,,დროება“ საცენზურო პირობების დარღვევისთვის დაიხურა. ცენზურა მკაცრი იყო ,,ივერიისთვისაც“. ,,ხშირი იყო შემთხვევა, როდესაც ცენზურა არა მარტო დასაბეჭდად გამზადებული ტექსტის ამა თუ იმ მონაკვეთის წაშლას ან გადაკეთებას, არამედ, მთელი ტექსტის ამოღებას მოითხოვდა (ჯოლოგუა, 2013 გვ. 381); ,,ივერია“ XIX საუკუნის 90-ანი წლებიდან მხოლოდ თერგდალეულთა ძველი თაობის ორგანო აღარ იყო. ამ დროიდან, ილია ჭავჭავაძემ იგი ფაქტობრივად, ახალგაზრდების იმ ჯგუფს გადსცა, რომლებსაც საქართველოს პოლიტიკური განვითარების საკითხებზე ივერიელების ძველი თაობისგან

განსხვავებული შეხედულებები ჰქონდა. ამ ახალგაზრდების ჯგუფის სახელს დაუკავშირდა 1895-1896 წლებში საქართველოში რადიკალურ-ეროვნული მიმდინარეობის შექმნა (შველიძე, 1993); ამ ჯგუფში შედიოდა ყოფილი ხალხოსანი გიორგი ლასხიშვილი. ამავე ჯგუფის წევრის ია ეკალაძის ფელეტონის გამო კი, რომელიც თბილისის სასულიერო სემინარიას ეძღვნებოდა, მთავარმართებლის საბჭოს 1896 წლის 10 მაისის დადგენილებით, ,,ივერიის“ გამოცემა 8 თვით აიკრძალა. ,,სცენაზე გამოჩნდა ილიაც, რომელიც პირდაპირ ჩემსკენ გამოემართა. -აი, თქვენმა რევოლუციონერობამ უკვე გამოიღო პირველი ნაყოფი: ეს არის ქაღალდი მოვიდა ,,ივერიის“ დახურვის შესახებ“ (ლასხიშვილი, 1934, გვ. 106); 1894 წელს ,,ქართველთა წიგნების გამომცემელმა ამხანაგობამ“ ალექსანდრე ჯაბადარის ხელმძღვანელობით, ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სამეცნიერო და ლიტერატურული ჟურნალის - ,,მოამბეს“ გამოცემა დაიწყო. მასთან თანამშრომლობდნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, რაფიელ ერისთავი, ალექსანდრე ჭყონია, ნიკო მთვარელიშვილი, ივანე მაჭავარიანი და სხები. პოლიტიკურ განყოფილებას ნიკო ნიკოლაძე ხელმძღვანელობდა. 1898 წელს ,,მოამბის“ პუბლიცისტთა ჯგუფს გიორგი ლასხიშვილიც შეუერთდა. 1900 წელს ალექსანდრე ჯაბადარმა ყოველდღიური გაზეთი ,,ცნობის ფურცელი“ იყიდა. მისი რედაქტორი ალექსანდრე ჭყონია გახდა, გაზეთის წარმოების საქმე კი, გამომცემელმა გიორგი ლასხიშვილს ჩააბარა. თუ ადრე ,,ცნობის ფურცელი“ მხოლოდ ქრონიკასა და განცხადებებს ბეჭდავდა, ახლა მისი მიმართულება უნდა გაფართოებულიყო. ასეც მოხდა და სულ მალე ,,ცნობის ფურცლის“ ახალი ისტორია დაიწყო. ცენზურას პირველივე ნომერში გამოქვეყნებული გიორგი ლასხიშვილის გაზეთის ,,მრწამსი“ შეუცვლია. ,,60-იანი წლების თაობამ აღმართა ეროვნული დროშა. ჩვენ ამ დროშას ვიღებთ ხელში, მაგრამ გვინდა ის ახალ ნიადაგზე გადავიტანოთ. ეს ნიადაგი არის ახალი სოციალისტური სტრუქტურა, რომელიც მოჰყვა გლეხთა განთავისუფლებას“ (ლასხიშვილი, 1934, გვ. 133); ჯერ ,,ივერიის“, შემდეგ კი ჟურნალ ,,მოამბის“ ირგვლივ შეკრებილმა პუბლიცისტებმა გაზეთ ,,ცნობის ფურცელში“ გადაინაცვლეს. 1902-1903 წლებში მათ ,,ცნობის ფურცლის“ ჯგუფის სახელით მოიხსენიებდნენ. 1900 წლის დეკემბრიდან მთავრობის ნებართვით, გაზეთის პროგრამის გაფართოების შემდეგ ,,ცნობის ფურცელი“ პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და ლიტერატურულ-კრიტიკულ მასალებს აქვეყნებდა. მისი ფაქტობრივი ხელმძღვანელი გიორგი ლასხიშვილი იყო. პირველ მუდვიმ თანამშრომლებს - ვლადიმერ ლორთქიფანიძეს, შაქრო ბილანიშვილსა და ქაიხოსრო ქავთარაძეს 1901 წლის გაზაფხულზე არჩილ ჯორჯაძე შეუერთდა, 1902 წლიდან კი გრიგოლ რცხილაძე, სამსონ ფირცხალავა და ილია აღლაძე. ,,ცნობის ფურცელმა“ ბურჟუაზიულ-ეროვნული და ეროვნულ-რადიკალური მიმდინარეობები ჩამოაყალიბა. გაზეთი სხვადასხვა მიმდინარეობების შეთანხმების მოწოდებით გამოვიდა. ,,XX ს-ის დამდეგს საქართველოში ჩამოყალიბდა ერთიანი, ეროვნული რადიკალურ-დემოკრატიული მიმდინარეობა - ,,ცნობის ფურცლის“ ჯგუფის სახით (შველიძე, 1993, გვ. 53); თუმცა, მათ არ ჰქონდათ დეკლარირებული ეროვნულ-პოლიტიკური პროგრამა. ამ მხრივ, მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა 1901 წლის გაზაფხულიდან, როცა არჩილ ჯორჯაძე ,,ცნობის ფურცლის“ თანამშრომელი გახდა. მის სახელს დაუკავშირდა ,,საერთო ნიადაგის“ თეორიის შექმნა. ის ქართული საზოგადოების დაყოფის მიზეზს სოციალურ - პოლიტიკურ ცვლილებებში ხედავდა. ეროვნული საკითხის მოგვარებისთვის კი შეთანხმებული მოქმედებისკენ მოუწოდებდა დაპირისპირებულ დასებს. ,,ჩვენს ქართველ ინტელიგენციის წინაშე წარმომდგარია ერთი ინტეგრალური საკითხი ჩვენი ერის ეკონომიკურ და სულიერ წარმატებისა, ის საკითხი, რომლის შემუშავებაში მონაწილეობა უნდა მიიღოს ჩვენი ქვეყნის ყველა შეგნებულმა წევრმა“ (ცნობის ფურცელი, 1901, 19.I); პირველი წერილი - ,,ჩვენი საჭირბოროტო კითხვები“ არჩილ ჯორჯაძემ ,,ცნობის ფურცელში“ პარიზიდან გამოაგზავნა. 1901 წლის 21 მარტის ,,ცნობის ფურცელმა“ კი მისი

,,საერთო მოქმედების“ ნიადაგი გამოაქვეყნა. ქართველი საზოგადოების ჯგუფებად დაყოფის მიზეზს ის ეკონომიკურ საფუძველში ხედავდა და ასაბუთებდა, რომ ქართული ენის დაცვით, ქართული ვაჭრობა - მრეწველობის შექმნით, ქართული მეურნეობის ქართველთა ხელში დარჩენით, სახალხო-კულტურული მოღვაწეობითა და ქალაქის თვითმმართველობაში ქართველების მონაწილეობით დაპირისპირებული ჯგუფები საერთო მოქმედებას შეძლებდნენ ქვეყნისთვის ამ ,,ისტორიულ ხანაში“ (ცნობის ფურცელი, 1901, 21.III); არჩილ ჯორჯაძე ,,საერთო მოქმედების ნიადაგის“ ხუთივე პუნქტის განხილვას 1901-1902 წლებში გამოქვეყნებულ წერილებში აგრძელებდა. ის, რომ მოგვიანებით, იგი ,,საერთო მოქმედების ნიადაგის“ პრინციპებისადმი ქართველი საზოგადოების გულგრილობაზე საუბრობდა, მკვლევარ დიმიტრი შველიძის აზრით, სავარაუდოდ, იმას გულისხმობდა, რომ ეს თეორია დაპირისპირებულმა დასებმა გააკრიტიკეს. მის ცალკეულ შეხედულებებს აკრიტიკებდნენ ,,ივერიის“ პუბლიცისტები და არა -,,საერთო ნიადაგს“, განსხვავებით, კონსერვატორებისაგან. ძალზე მწვავე იყო ქართველი სოციალ-დემოკრატების კრიტიკა (შველიძე, 1993);

,,ქართული პრესა დიდის გულგრილობით დაუხვდა ამ ჩვენს ლაპარაკს. ,,კვალს“ არ მოეწონა ზოგიერთი მოსაზრებანი და გაილაშქრა ჩვენს წინააღმდეგ. ,,ივერია„ დამშვიდებულად სდუმდა, არც ჰოს ამბობდა, არც არას“ (ცნობის ფურცელი, 1901, 6.XII); ცხადი იყო, რომ ,,ცნობის ფურცლის“ ჯგუფის ეროვნულ-პოლიტიკური მოღვაწეობიდასადმი მისწრაფება ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ახალ ფურცელს შლიდა. გიორგი ლასხიშვილის მოგონებებიდან ირკვევა, რომ ჯერ ,,ახალგაზრდა ივერიელებს“, შემდეგ ,,მოამბისა“ და ,,ცნობის ფურცლის“ ჯგუფის წევრებს შორის გაჩნდა აზრი პოლიტიკური პარტიის შექმნის აუცილებლობის შესახებ. განიხილებოდა ,,ქართული ავტონომიური ჯგუფის იდეა“, რომელიც რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიაში შევიდოდა. ძველი თაობის ამ წინადადებას ახალგაზრდები დაუპირისპირდნენ (გ. ლასხიშვილი. კ. აბაშიძე და სხვები). ,,ცნობის ფურცელში“ არჩილ ჯორჯაძის მოსვლამ პოლიტიკური მოქმედების მიმართულებით მნიშვნელოვანი ცვლილება მოიტანა. 1901 წლის შემოდგომაზე ერთ-ერთ შეკრებაზე გამოკვეთილა მომავალი პარტიის საფუძვლები - საქართველოს ავტონომია, კავკასიელი ხალხებისა და რუსეთის ფედერაცია. ,,მთავარ კომიტეტში“, რომელიც მომავალი პარტიის საქმიანობას წინასწარ უნდა გაძღოლოდა, აირჩიეს არჩილ ჯორჯაძე, გიორგი ლასხიშვილი, გიორგი და ანდრია დეკანოზიშვილები და ვლადიმერ ლორთქიფანიძე (ლასხიშვილი, 1934); ამ მოვლენების ანალიზისას არჩილ ჯორჯაძე თვლიდა, რომ პოლიტიკური გეგმა უკვე გამოკვეთილი იყო - თვითმპყრობელობის დემოკრატიული კონსტიტუციით ჩანაცვლება, ამ კონსტიტუციის დეცენტრალიზაცია. საქართველოს ავტონომია უნდა ჰქონოდა, კავკასიას - ფედერაცია. ქართული ავტონომიერი პარლამენტი დემოკრატიის განმტკიცების საშუალება იქნებოდა. ,,ეს იყო სოციალიზმი დემოკრატიულ ნიადაგზე აღმოცენებული და დემოკრატიზმის საფუძველზე დამყარებული“ (ჯორჯაძე, 2021, გვ. 19); კომიტეტს ჯერ არ ჰქონდა მომავალი პარტიის საბოლოოდ ჩამოყალიბებული პროგრამა. გიორგი ლასხიშვილის მემუარებიდან ვადგენთ, რომ ერთ-ერთი შეკრებისას, არჩილ ჯორჯაძეს განუცხადებია არალეგალური ორგანოს დაარსების აუცილებლობის შესახებ. იმ დროინდელი პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, ,,ცნობის ფურცელში“ რომ ეროვნულ - პოლიტიკურ საკითხებსა და მომავალი პარტიის შესახებ ღიად ვერ იმსჯელებდნენ, ამას ყველა გრძნობდა. არჩილ ჯორჯაძის აზრი გაუზიარებიათ, მხოლოდ იმაზე კამათობდნენ, თუ სად უნდა გამოცემულიყო არალეგალური ორგანო. ამ შემთხვევაშიც, არჩილს დაეთანხმნენ და არალეგალური თავისუფალი გაზეთის გამოცემა საზღვარგარეთ გადაწყდა. 1901 წლის შემოდგომაზე ფულის შეგროვება დაიწყო მომავალი გაზეთისთვის და 1902 წლის დასაწყისში 7 ათას მანეთამდე შეგროვდა. პარტიულმა კომიტეტმა ემიგრანტული თავისუფალი ორგანოს გამოცემის დაჩქარება გადაწყვიტა.

კომიტეტის ორი წევრი - იდეური ხელმძღვანელი - არჩილ ჯორჯაძე და გამორჩეული ორგანიზატორი - გიორგი დეკანოზიშვილი ასოთამწყობ მიხეილ კიკნაძესთან ერთად საზღვარგარეთ გაემგზავრა. გაზეთი მალე უნდა გამოსულიყო. პარტიული კომიტეტის გადაწყვეტილებით, მას ,,საქართველო" დაერქმეოდა. არჩილს ნება დართეს, თუ საჭიროდ ჩათვლიდა, სხვა სახელი აერჩია (ლასხიშვილი, 1934); ,,საქართველო" გამოვიდა პირველ მაისს 1903 წ. პარიზში" (ჯორჯაძე, 2021, გვ. 19); ქართული ემიგრანტული პრესის მომდევნო ისტორიაში ეს თარიღი - 1903 წლის 1 მაისი საეტაპო მნიშვნელობის მოვლენად იქცა. იმის გამო, რომ ქართულ ლეგალურ პრესაში ეროვნულ-პოლიტიკურ საკითხებზე ღიად მსჯელობა ვერ ხერხდებოდა, ემიგრანტული გაზეთის სახით ალტერნატიული საშუალება მოიძებნა. ევროპაში ქართული პოლიტიკური ემიგრაციისა და ემიგრანტული პრესის ისტორიაც ერთდროულად დაიწყო. პარიზში თავისუფალი გაზეთის - ,,საქართველო" - გამოცემის მიზანი საზოგადოებისთვის მომავალი პოლიტიკური პარტიის პროგრამის გაცნობა იყო. ,,საქართველოს" ფურცლებზე პირველად გაჟღერდა პოლიტიკური მოთხოვნა საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის შესახებ. სწორედ, ემიგრანტულმა გაზეთმა იმსჯელა საქართველოს პოლიტიკური თავისუფლების საკითხზე. მისი ორგანიზებით, ჟენევაში 1904 წლის 1 აპრილს გაიხსნა ქართველ რევოლუციონერთა პირველი კონფერენცია. ამ კონფერენციაზე შეიქმნა ეროვნული მიმართულების პირველი პოლიტიკური პარტია - საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია, სადაც გაერთიანდნენ ავტონომისტები - ,,საქართველოისტები" - გაზეთ ,,საქართველოს" ჯგუფი, ანარქისტები, ესერები და ეროვნულ დემოკრატები. ახალ პოლიტიკურ პროცესს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ორგანომ - არალეგალურმა გაზეთმა ,,საქართველომ" დაუდო სათავე. ახალ პოლიტიკურ პროცესთან ერთად ის ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორიის ტენდენციების განმსაზღვრელადაც იქცა.

დასკვნა. XIX საუკუნის საქართველოში ეროვნული და სახელმწიფოებრივი ინტერესების მწვავე წინააღმდეგობების ფონზე ქართული ჟურნალისტიკა ეროვნული თვითშეგნების აღორძინების ფუნქციას ასრულებდა. პოლიტიკურად დასნეულებული ქვეყნისთვის ქართულმა პრესამ საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების ახალი საფუძველი შექმნა. მწირი ფინანსური რესურსებისა და მკაცრი ცენზურის მიუხედავად, ქართულ ჟურნალ-გაზეთებში მნიშვნელოვანი ადგილი ეროვნულ და სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებს ეთმობოდა. როცა ცენზურა ძალზე გამკაცრდა, გაჩნდა ლეგალური პრესის ალტერნატივა. 1873 წელს პარიზში ნიკო ნიკოლაძის რედაქტორობით გამოცემულ პირველ არალეგალურ სოციალისტური მიმართულების გაზეთ ,,დროშაში" იმ თემებზე მსჯელობდნენ, რასაც ლეგალურ პრესაში ცენზურის მკაცრი რეაგირება მოჰყვებოდა. მომდევნო პერიოდიც ცენზურის სიმკაცრითაა გამორჩეული, რასაც ქართული პერიოდული გამოცემების დახურვაც არაერთხელ მოჰყვა. XIX საუკუნის დასაწყისში სწორედ, ქართული პრესის წიაღში, კერძოდ, გაზეთ ,,ცნობის ფურცლის" გარშემო ჩამოყალიბდა ერთიანი ეროვნული რადიკალურ-დემოკრატიული მიმდინარეობა. ახალი პოლიტიკური პარტიის შექმნის აუცილებლობაზეც ამ ჯგუფში დაიწყო მსჯელობა. პოლიტიკური მოქმედების მიმართულებით კი მნიშვნელოვანი ცვლილებები ,,ცნობის ფურცელში" არჩილ ჯორჯაძის მოსვლის შემდეგ დაიწყო. პოლიტიკური გეგმის - თვითმპყრობელობის დემოკრატიული კონსტიტუციით ჩანაცვლების, კონსტიტუციის დეცენტრალიზაციის, საქართველოს ავტონომიის გამოკვეთის შემდეგ მომავალი პარტიის შექმნისთვის ნიადაგის მოსამზადებლად, თავისუფალი არალეგალური გაზეთის საზღვარგარეთ გამოცემის აუცილებლობა გაჩნდა. იმდროინდელ ლეგალურ პრესაში მომავალი პარტიისა და ეროვნულ და პოლიტიკურ

საკითხებზე ღიად მსჯელობა შეუძლებელი იყო. პირველი ბეჭდური ქართული ემიგრანტული გაზეთი ლეგალური პრესის ალტერნატივად იქცა.

გამოყენებული ლიტერატურა

ავტორთა ჯგუფი. (2013). *ჟურნალისტიკა.* გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი. თბილისი.

დროშა. (1873). 1 აპრილი.

დროშა. (1873). 2 აპრილი.

დროშა. (1873). 3 აპრილი.

ლასხიშვილი, გ. (1934). *მემუარები.* თბილისი.

შველიძე, დ. (1993). *პოლიტიკური პარტიების წარმოშობა საქართველოში.* თბილისი: გამომცემლობა „არსი“.

ცნობის ფურცელი. (1901). 19 იანვარი.

ცნობის ფურცელი. (1901). 21 მარტი.

ცნობის ფურცელი. (1901). 6 დეკემბერი.

ხუნდაძე, ს. (1927). *სოციალიზმის ისტორიისთვის საქართველოში.* ტ. II. თბილისი.

ჯოლოგუა, თ. (2013). *ქართული ჟურნალისტიკის ისტორია.* თბილისი: გამომცემლობა „არტანუჯი“.

ჯორჯაძე, ა. (2021). *სოციალიზმ-ფედერალიზმი საქართველოში.* თბილისი.

ჯორჯაძე, ა. (1989). *წერილები.* თბილისი: გამომცემლობა „მერანი“.

REFERENCES

Author’s group. (2013). *zhurnalist'ik'a [Journalism]*. Guram Tavartkiladze Tbilisi Teaching University. Tbilisi.

drosha [Drosha]. (1873). 1 ap'rili [April 1].

drosha [Drosha]. (1873). 2 ap'rili [April 2].

drosha [Drosha]. (1873). 3 ap'rili [April 3].

laskhishvili, g. (1934). *memuarebi [Memoirs]*. Tbilisi.

shvelidze, d. (1993). *p'olit'ik'uri p'art'iebis ts'armoshoba sakartveloshi [The origin of Political Parties in Georgia]*. tbilisi: Publishing House „Arsi“.

tsnobis purtseli [Tsnobis purtseli]. (1901). 19 ianvari [January 19].

tsnobis purtseli [Tsnobis purtseli]. (1901). 21 mart'i [March 21].

tsnobis purtseli [Tsnobis purtseli]. (1901). 6 dek'emberi [December 6].

khundadze, s. (1927). *sotsializmis ist'oriistvis sakartveloshi [For the History of Socializm in Georgia]*. Vol. II. tbilisi.

jologua, t. (2013). *kartuli zhurnalist'ik'is ist'oria [History of Georgian Journalism]*. Tbilisi: Publishing House „Artanuji“.

jorjadze, a. (2021). *sotsializm-pederalizmi sakartveloshi [Socialism-Federalism in Georgia]*. Tbilisi.

jorjadze, a. (1989). *ts'erilebi [The letters]*. Tbilisi: Publishing House „Merani“.